1 ივლისი

რიგითი XIII კვირა [I] მწ

(18.VI) წმ. ღირსი მიქაელ ულუმბელი, მონაზონი, VIს

2019 ორშაბათი

დაბ 18,16-33; ფს 102; მთ 8,18-22

ძეს კაცისას კი არა აქვს,
სად მიიდრიკოს თავის მთ 8,20

ამ სიტყვებით იესო პასუხობს მისით აღფრთოვანებულ ადამიანს, რომელმაც უთხრა: "მოძღვარო, გამოგყვები, სადაც კი წახვალ". გმადლობ, იესო, ვინაიდან გვიცავ, რომ ძალზე დარწუენბულნი არ ვიყოთ საკუთარ თავში და რომ ზერელე ენთუზიაზმმა არ გვძლიოს; შენი გზა აღმართია, ის ფავრის გზაა. მაგრამ მას ჭეშმარიტი და უჭკნობი ბედნიერების მიზნამდე მივყავართ.

2 ივლისი

რიგითი XIII კვირა [I] მწ

2019 სამშაბათი

დაბ 19,15-29; ფს 25; მთ 8,23-27

უფალო, გვიხსენი, ვიღუპებით! მთ 8,25

აღელვებულ ზღვასი მოწაფეთა შიში გამოწვეული იყო იმით, რომ სრულებით არ იცნობდნენ იესოს; ვინაიდან შემდეგ საკუთარ თავებს ეკითხებოდნენ: "ვინ არის ეს, ქარებიც და ზღვაც რომ ემორჩილებიან?". ჩემი შიშებიც ხომ იმითაა გამოწვეული, რომ ვერ ვიაზრებ, ვინაა იგი, რომ მეტადრე მის ძალას კი არ დავენდო, არამედ მის სიყვარულს. თუმცა, ასეთ მომენტებშიც შემიძლია ნდობით შევძახო: «მიხსენი, იესო! მარტოსული, უშენოდ, დაღუპული ვარ!».

3 ივლისი

წმ. თომა მოციქული, (დ), [ს], წ

2019 ოთხშაბათი

ეფ 2,19-22; ფს 116; იო 20,24-29

ჩვენ ვიხილეთ უფალი! იო 20,25

ამას ახარებს ათი მოციქული თომას. რასაკვირველია, ამას დიდი სიხარულით და რწმენით აკეთებენ, თუნდაც რომ არ ირწმუნოს თომამ. გულს ნუ გაიტეხ, თუკი შენი მოწმობა არ არის მიღებული შენს საყვარელ ადამიანებში, მეგობრებში, კოლეგებში. მშვიდად ილოცე, რომ თავად იესო მოვიდეს და გააღოს და გაანათოს ეს გულები. წმ. თომას მეოხება კი არასდროს მოგვაკლება.

Ч ივლისი

რიგითი XIII კვირა [I] მწ
წმ. ელისაბედ პორტუგალიელი, +1336
(21.VI) წმ. არჩილი, საქართველოს მეფე, +744

2019 ხუთშაბათი

დაბ 22,1-19; ფს 114; მთ 9,1-8

ახლა ვიცი, რომ ღვთისმოშიში ხარ დაბ 22,12

აბრაამი ემორჩილება ღმერთს, რომელიც სთხოვს მას, რომ მსხვერპლად შესწიროს თავისი ძე ისააკი, ის ძე, რომელიც ხანდაზ-მულ ასაკში აჩუქა. აბრაამი რწმენით ასხამს ხორცს ამ მორჩილებას, დარწმუნებული, რომ მეც შემიძლია მკვდრეთით აღვადგინო ისააკი. მაშინ ღმერთი ერევა, რათა ხელი შეუშალოს მსხვერპლშეწირვას და ეუბნე-ბა აბრაამს: "ახლა ვიცი, რომ ღვთისმოშიში ხარ", მაშასადამე ვიცი, რომ შენს ძეზე მე-ტად გიყვარვარ. წმიდა და კეთილო მამაო, მეც მიბოძე შენდამი მორჩილებისა და სრუ-ლი ნდობის სულისკვეთება!

5 ივლისი

რიგითი XIII კვირა [I] მწ

წმ. ანტონ მარია ზაქარია, ხუც., +1539

2019 პარასკევი

დაბ 23,1-4.19; 24,1-8.10.62-67; ფს 105; მთ 9,9-13

გამომუევი მთ 9,9

ჩემს მეგობარს მათესავით სწრაფად არ უპასუხია იესოს მოხმობაზე. მან ყმაწვილისგან მოისმინა ეს მოხმობა, მაგრამ სახარების მოთხოვნათა წინაშე დაივიწყა ის. შემდეგ, ახალგაზრდისგან რომ მოისმინა, მისი აზრით, იესოს სურდა, რომ მას შეექმნა ქრისტიანული ოჯახი; მაგრამ ეს შესაძლებლობაც მოისპო. მხოლოდ მუდმივი ლოცვისა და მოძღვვრის დახმარების შემდეგ გაიგო, რომ იესოს უნდოდა იგი თავისთვის ქალწულობაში. იესოს ამ მოხმობაზე პასუხმა ხორცი შეასხა მის ცხოვრებას.

6 ივლისი

რიგითი XIII კვირა [I] მწ

წმ. მარია გორეტი, ქალწ. და მოწ., +1902

2019 შაბათი

დაბ 27,1-5.15-29; ფს 134; მთ 9,14-17

განა შეიძლება გლოვობდნენ მექორწილეები, ვიდრე მათთან არის ნეფე? მთ 9.15

იესო პასუხობს მას, ვინც ეკითხება, თუ რატომ არ მარხულობენ მისი მოწაფეები. ასე იგი აცხადებს, რომ არის 'ნეფე', ის, ვისაც უყვარს ღმრთის ერი იქამდე, რომ საკუთარ სიცოცხლეს გასცემს. მასთან შეხვედრა სიხარულის წყაროა. ნაცვლად, როდესაც იგი აღარ იქნება ოჯახებში, საკრებულოებში, ჩემს გულში, მასინ დადგენა დრო, რომ ვიმარხულოთ, ვიდრე მოვიდოდეს.

7 ივლისი

რიგითი ჟამის XIV კვირადღე, «გ», [II], მწ

2019 კვირა

ეს 66,10-14; ფს 65; გალ 6,14-18; ლკ 10,1-12.17-20

სამკალი ბევრია, მუშაკი – ცოტა ლკ 10,2

ჩემს ნაცნობს ცოტათი უჭირს პასუხის გაცემა იესოს არჩევანზე. ვინაიდან თავისთვის ფიქრობდა: "რატომ მაინცადამაინც მე? მე ვმუშაობ, სახლს ვაშენებ...". "იმიტომ, რომ მიყვარხარ", უპასუხა შინაგანმა ხმამ. ამ სიტყვებმა სიმტკიცე შემატეს მას, რომ ყველაფერი იეტოვებინა და აღმდგარი უფლის განკარგულებაში ყოფილიყო, რომ მის სამკალში ეშრომა.

8 ივლისი

რიგითი XIV კვირა [II] მწ

2019 ორშაბათი

დაბ 28,10-22; ფს 90; მთ 9,18-26

შენთან ვარ და დაგიფარავ ყველგან, სადაც კი წახვალ დაბ 28,15

იაკობი, აბრაამის შთამომავალი, ღმერთისგან იღებს ამ დაპირებას სწორედ მაშინ, როდესაც ძმა ესავისგანაა დევნილი. იაკობი პასუხობს და ისიც აძლევს დაპირებებს ღმერთს, შემდეგ კი ასრულებს მათ. იესო ჩვენც, ქრისტიანებსაც, მოგვმართავს სიტყვით, რომელიც მის მყოფობას განამტკიცებს. ჩვენ კი, იაკობის მსგავსად, ერთგულებას აღვუთქვამთ მას.

9 ივლისი

2019 სამშაბათი

რიგითი XIV კვირა [II] მწ

წმმ. ავგუსტინე ჟაო რონგი და მეგობ.,
ჩინელი წამებულნი +1648-1930

დაბ 32,23-33; ფს 16; მთ 9,32-38

პირისპირ ვიხილე ღმერთი დაბ 32,31

იაკობი, მთელი თავისი ოჯახით, მიდის თავის ბიძა ლაბანისგან. მოგვიანებით მარტო შეებრძოლება ვიღაც კაცს, რომელშიც შემდეგ ღმრთის ანგელოზს ამოიცნობს. ეს უკანასკნელი, ვიდრე წავიდოდეს, აკურთხებს მას. ზოგჯერ ჩვენც გვგონია, რომ იესოს რამე თხოვნის წინაშე ვიბრძვით. თუკი ის გაიმარჯვებს, ამტკიცებს, რომ ჩვენ ვართ გამარჯვებულნი ცდუნებაზე, და გვაკურთხებს.

10 ივლისი

(27.VI) წმ. ღირსი გიორგი მთაწმინდელი, +1065, (მ), თ

2019 ოთხშაბათი

დაბ 41,55-57; 42,5-7.17-24; ფს 32; მთ 10,1-7

როდესაც მიხვალთ, იქადაგეთ, რომ მოახლოვდა ცათა სასუფეველი მთ 10,7

იესო ეს დაავალა მოციქულებს, როდესაც
მოუხმო მათ, რომ სახარება ექადაგათ;
ეს ჰგავს მოწოდებას, რომ არ დაკარგონ
დრო და არც შესაძლებლობები.
შეგვიძლია სახარება ვაუწყოთ ყველგან, იმ
სიხარულით, გულში რომ გვაქვს, შეგნებით
და ყველას მიმართ სიყვარულით,
მაგრამ სიტყვითაც, რომელიც მტკიცე
მიმართულებას იძლევა ქრისტესკენ. იგია
ერთადერთი, ვისაც იმ უბედურებათაგან
შეუძლია დახსნა, ადამიანი რომ ვარდება
თავისი გზააბნეულობის გამო.

11 ივლისი

წმ. ბენედიქტე, აბატი, +547
ევროპის მფარველი დ, [ს], თ

2019 ხუთშაბათი

იგ 2,1-9; ფს 33; მთ 19,27-29

რაბათში ბენედიქტელ დედათა დღესასწაული

აჰა, ჩვენ ყოველივე მივატოვეთ და შენ გამოგუევით მთ 19,29

ვინც მზადაა, რომ ყოველივე მიატოვოს და იესოს გაყვეს, სავსე ცხოვრებას განიცდის, ყოველგვარი ძღვენით მდიდარს, გასაჭირიც რომ სდევდეს თან. გმადლობ, იესო: შენთან ერთად ჩვენ ვიღებთ იმაზე გაცილებით მეტს, რაც მივატოვეთ.

12 ივლისი

რიგითი XIV კვირა [II] მწ

2019 პარასკევი

დაბ 46,1-7.28-30; ფს 36; მთ 10,16-23

ნუ გაშინებს ეგვიპტეში ჩასვლა დაბ 46,3

იაკობმა, როდესაც თავისი მამის, ისააკის, ღმერთს, ევედრებოდა, დაადასტურა, რომ თავის ხალხთან ერთად შეეძლო ჩასულიყო ეგვიპტეში. ეს უზარმაზარი გადაწყვეტილება იყო, რომელსავ უფალი აძლიერებდა. ასე, ერთ-ერთმა ძმამ მითხრა, რომ ფიზიკური და სულიერი დაღლილობის დროს მხოლოდ იმაზე ფიქრი, რომ მსახურებისთვის მანქანით გასულიყო, შეუძლებლად ეჩვენებოდა. ძმების კურთხევამ და საკუთარი თავისთვის იმის შეხსენებაში გამოწრთობამ, რომ იესო მის გვერდით იყო და წინ მიუძღოდა, მას მისცა ძალა, რომ შესდგომოდა იმ დღის მოგზაურობას.

13 ივლისი

2019

რიგითი XIV კვირა [II] მწ
წმ. ჰენრიხი, + 1024;
(30.VI) წმ. დინარ დედოფალი, X ს.

შაბათი

დაბ 49,29-33; 50,15-26; ფს 104; მთ 10,24-33

ნუ გეშინიათ: ბევრ ბელურაზე უკეთესნი ხართ მთ 10,31

იესო გვაგულიანებს, რომ დავამოწმოთ იგი, თუნდაც რომ დაგვცინონ ან ცუდად მოგვეპყრონ ანდა საერთოდაც მოგვკლან ამის გამო. ჩვენი ცხოვრება ძვირფასია მამის თვალში, ბელურების ცხოვრებაზე მეტად, რომელთაც იგი არ აკლებს საკვებს. გმადლობ, იესო: სულიწმიდის შემწეობით მსურს შენი მოწმე ვიყო.

14 ივლისი

რიგითი ჟამის XV კვირადღე, «გ», [III], მწ

2019 კვირა

რჯლ 30,10-14; ფს 18; კოლ 1,15-20; ლკ 10,25-37

წმ. კამილო დე ლელისი +1614. კამილიელ მამათა და დედათა დღესასწაული, სნეულთა და მედმუშაკთა მფარველი

წადი და შენც ასევე მოიქეცი ლკ 10,37

ერთ დღეს, ერთმა ჩემმა ნაცნობმა დამირეკა და მთხოვა, შემეძლო თუ არა დავხმარებოდი მის მეგობარს, რომელიც ძლიერი დეპრესიით იტანჯებოდა და რომელსაც ცოტა ხნით საკუთარი ოჯახისგან ცალკე ყოფნა ესაჭიროებოდა. მაშინ მე მას საკრებულო ვურჩიე. მის მეგობარი წავიდა და გარკვეული დროით დარჩა იქ. მე მივდიოდი ხოლმე, რომ მის გვერდით ვყოფილიყავი, მასთან ერთად მესეირნა და მელოცა. გმადლობ, იესო, ვინაიდან შთააგონებ შენიანებს, რომ შენთან ითანამშრომლონ და ყველაზე უძლურთა მოყვასად იქცნენ.

15 ივლისი

2019 ორშაბათი

რიგითი XV კვირა [III]

წმ. ბონავენტურა, ეპ. და მოძ., +1274, (მ) თ

გამ 1,8-14.22; ფს 123; მთ 10,34-11,1

ვისაც მამა ან დედა ჩემზე მეტად უყვარს, ის არ არის ჩემი ღირსი მთ 10,37

ვისაც სურს მუდამ იესოსთან იცხოვროს, ყველასა და ყველაფერზე წინ დააყენებს მას. იგი იქნება პირველ ადგილზე მის გულში. გმადლობ, იესო: შენ მე მაკმაყოფილებ, შენ ყველაფერი ხარ ჩემთვის. მსურს, რომ მხოლოდ შენზე ვიყო დამოკიდებული!

16 ივლისი

2019 სამშაბათი

რიგითი XV კვირა [III] მწ

კარმელის მთის ნ. ქალწული მარიამი / (3.VII) წმ. ღირსი
გიორგი ღმერთშემოსილი, დაყუდებული, +1068

გამ 2,1-15; ფს 68; მთ 11,20-24

მაშინ იწყო იმ ქალაქების ყვედრება, რადგან არ მოინანიეს მთ 11,20

იესო მოვიდა წუთისოფელში, რათა ყველასთვის მიეცა მამისეული ხსნა და სიყვარული. იგი ამ ძღვენს გვთავაზობს მისი სიტყვის მეშვეობით, ეკლესიაში საიდუმლოთა მეშვეობით, ლოცვის მეშვეობით. რათა ჩვენც არ გვისაყვედუროს, რომ არ მივიღეთ იგი, რომ არ მივენდეთ მას!

17 ივლისი

რიგითი XV კვირა [III] მწ

2019 ოთხშაბათი

გამ 3,1-6,9-12; ფს 102; მთ 11,25-27

გაიხადე ფეხსამოსი ფეხთაგან, რადგან ეს ადგილი, რომელზეც დგახარ, წმიდა მიწაა გამ 3,5

ეს მითითება, მოსე რომ ღებულობს ღმერთისგან, რომელიც მაყლოვანიდან მოუხმობდა მას, ჩვენც შეგვიძლია მივიღოთ, როგორც მოწოდება, რომ ნუ მივუახლოვდებით მას უპატივცემულოდ ან თავდაცვის დამოკიდებულებით. მამაო, მსურს შენს მყოფობაში ვიცხოვრო, შენთან თანაზიარებაში, წარვხოცო ჩემი ცოდვები და ჩემი ცუდი მიდრეკილებები, და მთლიანად მოგენდო. რამხელა უგუნურება იქნებოდა შენი სიყვარულისგან თავის არიდება!

18 ივლისი

რიგითი XV კვირა [III] მწ

2019 ხუთშაბათი

გამ 3,13-20; ფს 104; მთ 11,28-30

ისწავლეთ ჩემგან, რადგან მშვიდი და გულით თავმდაბალი ვარ მთ 11,29

იესო აჩვენა თავის სიმდაბლე და გაა-
ცხადა, რომ მის სიყვარულსა და სიტყვას
მხოლოდ უმცირესთა და გულმართალთა
მიღება შეეძლო.
მე თვინიერებისა და თავმდაბლობის
დიდი მაგალითი ჩემი ორი ძმისგან მივიღე.
ჰენრიხისგან: როდესაც რაღაც უნდა
გადაგვეწყვიტა, ის, რომელიც ყველაზე
ჭკვიანი და კარგად მომზადებული
იყო ჩვენს შორის, იძლეოდა თავის
პასუხს, მაგრამ შემდეგ მზად იყო
პატივი ეცა ძმების პასუხისთვისაც; დონ
ფლორენცოსგან, რომელიც ძმების რაიმე
ნაკლის დანახვისას კი არ საყვედურობდა
მათ, არამედ ითმენდა, იესოს მიანდობდა,
წვალებადაც რომ დაჯდომოდა.

19 ივლისი

2019 პარასკევი

გამ 11,10–12,14; ფს 115; მთ 12,1–8

წყალობა მსურს და არა მსხვერპლი მთ 12,7

ფარისევლებს უნდათ ასწავლონ იესოს, როგორია ღმერთისადმი მორჩილება; ხოლო იესო, რომელიც მორჩილია, მამის გულიდან ისმენს მის სიტყვას, და არა ოდენ წიგნებიდან. ასე, მას შეუძლია ახსნას, თუ როგორ შესრულდეს ის: მუდამ მოწყალებით, ადამიანებისთვის სიყვარულის მიცემით, თუნდაც რომ ცოდვილნი იყვნენ.

20 ივლისი

რიგითი XV კვირა [III] მწ

წმ. აპოლინარიუსი, ეპ. და წამ., IIს

2019 შაბათი

გამ 12,37-42; ფს 135; მთ 12,14-21

მისი სახელი სასოებად ექნება ხალხებს მთ 12,21

ვინ ან რა შეიძლება ჰქონდეთ სასოებად ერებს, ყველა ხალხს? საუკეთესო მმართველები? იარაღის ქარხნების დაკეტვა? სიმდიდრის თანაბარი განაწილება? შესაძლოა, მაგრამ ეს ყოველივე მაშინ განხორციელდება, როდესაც ადამიანის გული შეიცვლება ან, უკეთესიც, როდესაც ის დაანებებს, რომ ღმრთის სიყვაურლით აღივსოს, იმ სიყვარულით, რომელსაც სახელი და გვარი აქვს: იესო ნაზარეველი!

21 ივლისი

2019 კვირა

დაბ 18,1-10; ფს 14; კოლ 1,24-28; ლკ 10,38-42

კამილიელი მ. პავლე შჩეპანეკის გახსენება (+1999)

საჭირო კი მხოლოდ ერთია ლკ 10,42

ამ და მომდევნო სიტყვებით იესო აგულიანებს მართას და გვანათლებს ჩვენც, რომ მას მოვუსმინოთ. ის გვეუბნება: ვიდრე იმოქმედებდეთ, ჯერ ჩემს სიტყვებსა და თქვენი მოძღვრის სიტყვებს მოუსმინეთ; შემდეგ იშრომეთ, სულიწმიდის სიყვარულით განათებულებმა და გაძლიერებულებმა.

22 ივლისი

წმ. მარიამ მაგდალელი, დ, [ს], თ

2019 ორშაბათი

ქებ 3,1-4 ან, 2კორ 5,14-17; ფს 62; იო 20,1-2.11-18

მე ვიხილე უფალი! იო 20,18

მარიამ მაგდალელს შეუძლია დიდი სიხარულით წარმოთქვას ეს სიტყვები, იმ სიხარულით, მთელ მის ცხოვრებას რომ ცვლის. ვინც უფალს ხედავს, ადარაა იგივე ადმაიანი! ვინც ცოცხალ იესოს ხვდება, ის ეძებს სხვებს, რომ ცხოვრების სიხარული და სიახლე გაუზიაროს!

23 ივლისი

2019

სამშაბათი

წმ. ბრიგიდა, +1373 მონაზონი
ევროპის მფარველი დ, [ს], თ

გალ 2,19-20; ფს 33; იო 15,1-8

ვინც ჩემში რჩება და მე მასში,
იგი გამოიღებს ბევრ ნაყოფს იო 15,5

წმ ბრიგიდა ძლიერ კავშირში დარჩა იესოსთან, ამიტომაც მისმა წმიდა ცხოვრებამ ბევრს მოუტანა სიკეთე. მეც, შენც, თუკი ერთგულნი ვრჩებით იესოს სიტყვისადმი, მრავალგვარ სიკეთეს მოვუტანთ მათ, ვისაც ვხვდებით. სხვა აღარაფერზე ვიდარდებ გარდა იმისა, რომ იესოსთან ერთად ვიყო!

24 ივლისი

რიგითი XVI კვირა [IV] მწ

წმ. სარბელიუს მახლუფი, ხუცესი, +1898

2019 ოთხშაბათი

გამ 16,1-5.9-15; ფს 77; მთ 13,1-9

კამილიელი მ. ნინო (ჯანჯიროლამო) მარტინის გახსენება (+2017)

გაიგებთ, რომ მე ვარ უფალი, თქვენი ღმერთი გამ 16,12

უფალი ავალებს მოსეს, რომ ესაუბროს ხალხს, რომელიც საყვედურებს და ებუ-ზღუნება მას. ამცნობს, რომ მოულოდნე-ლად მწუხრის ჟამს ხორცს მისცემს მათ, ხოლო დილით - პურს; ასე გაიგებენ, რომ იგია უფალი, მათზე რომ ზრუნავს. კე-თილო მამაო, მოგვმადლე, რომ მუდამ მივენდოთ შენს განგებას, შენი ერთგული სიყვარულის მოიმედენი!

25 ივლისი

2019 ხუთშაბათი

წმ. იაკობ მოციქული, დ, [ს], წ;

(12.VII) ღირსნი იოანე და გაბრიელ ათონელნი, X ს.

2კორ 4,7-15; ფს 125; მთ 20,20-28

მუდამ ვეძლევით სიკვდილს იესოსთვის 2კორ 4.11

ჭაბუკმა მშობლებს გაუმჟღავნა თავისი სურვილი, რომ გაჰყვეს იესოს. დედამისმა, ამის პასუხად, გაიხადა ფეხსაცმელი და მას ესროლა. ხოლო მამამ, დილით, როდესაც მისი ვაჟი ლოცვით შეხვედრაზე მიდიოდა, ავტომობილის წინ იტირა, რომ ხელი შეეშალა მისი წასვლისათვის. გმადლობ, იესო, ვინაიდან მხოლოდ ჩვენს თავში სიკვდილითა და დიდი მსხვერპლით შეისსხამს ხორცს შენი სასუფეველი.

26 ივლისი

2019 პარასკევი

რიგითი XVI კვირა [IV]
წმიდანი იოაკიმე და ანა,
მშობელნი ნეტარი ქალწული მარიამისა, (მ), თ

გამ 20,1-17; ფს 18; მთ 13,18-23

არ იყოლიო სხვა ღმერთები ჩემს გარდა გამ 20,3

ჩვენი ღმერთი, მამა, ასე ელაპარაკება თავის ერს, და სიბრძნითა და სიყვარულით სავსე დავალებებს აძლევს. გმადლობ, მამაო, რომ ჩვენზე ფიქრობ და წმიდა სიტყვებს გვაძლევ, რომლებიც გვამშვიდებს და ყვეასლთან ჰარმონიაში გვამყოფებს. ეს პირველია, ყველა შენი სწავლების საფუძველია: მხოლოდ შენ ხარ მნიშვნელოვანი, მხოლოდ შენ იმსახურებ მოსმენასა და მორჩილებას, რომელიც 'ღმერთის' მიმართ უნდა გამოვიჩინოთ.

27 ივლისი

2019 შაბათი

გამ 24,3-8; ფს 49; მთ 13,24-30

გაუშვით, ერთად იზარდოს ორივემ მთ 13,30

დიდი მოთმინების საჩვენებლად, სწორად ვამბობთ: "იობის მოთმინება". და ღმრთის მოთმინებაზე თუ ვფიქრობთ? იგია, ვისაც თვალწინ ჰყავს თითოეული ჩვენგანი და ყოველგვარი ვითარება, როგორიც არ უნდა იყოს! გმალდობ, იესო, ვინაიდან ღვარძლის იგავით გვეხმარები, რომ მამის სიყვარულის ამ ასპექტს ვეზიაროთ.

28 ივლისი

2019 კვირა

დაბ 18,20-32; ფს 137; კოლ 2,12-14; ლკ 11,1-13

მისცემს სულიწმიდას იმათ, ვინც სთხოვს ლკ 11,13

თუკი იესო ჰპირდება, რომ მამა სულიწმიდას მისცემს იმათ, ვიცნ სთხოვს, სხვა რაღას ვთხოვ მას? ჯანმრთელობას? ეკონომიკური პრობლემის მოგვარებას? ოჯახში მშვიდობას? თუკი მამა ჩემში ჩადებს თავის სულს, სიყვარულის სულს, მიტევების, მოთმინების, ნდობის და სიმტკიცის სულს, და მას მივენდობი..., ყველა ეს პრობლემა პოტენციურად უკვე დაძლეული იქნება. დღეს კი, უფლის დღეს, შემიძლია მას ვთხოვო ძღვენი შეკრებილი საკრებულოს განმტკიცებასთან ერთად!

29 ივლისი

2019 ორშაბათი

1იო 4,7-16; ფს 33; იო 11,19-27 ან, ლკ 10,38-42

მე ვარ აღდგომა და სიცოცხლე! იო 11,25

ეს სიტყვა მახსენებს თაყვანისცემის ჟამს, რომელშიც ყოველი კვირის შუადღეს ვმონაწილეობ. ესაა მუდამ ლამაზი მომენტი აღმდგარ იესოსთან შეხვედრისა, რომელსაც იმ ამონარიდის საშუალებით ვხედავთ, სიკვდილზე მის გამარჯვებას რომ აუწყებს. იგი მუდამ გვაძლევს იმედს, ნდობას და დარწმუნებულობას, რომ გავუმკლავდეთ ჩვენს სირთულეებს, მივყვეთ მას და ხორცი შევასხათ მის სასუფეველს.

30 ივლისი

რიგითი XVII კვირა [I] მწ

წმ. პეტრე ქრიზოლოგი, ეპ. და მოძღ., +450

2019 სამშაბათი

გამ 33,7-11;34,5-9.28; ფს 102; მთ 13,36-43

ჩვენს შორის იაროს ჩემმა უფალმა გამ 34,9

მოსე აღიარებს, რომ ხალხი "ქედმაგარია", ცოდვილია, მაგრამ მსგავსადვე სთხოვს უფალას, რომ ხალხთან ერთად იაროს, არ მიატოვოს ის. ხალხი არ იმსახურებს მას, მაგრამ უფალი არის "შემბრალე და მოწყალე, დიდადმოწყალე და ჭეშმარიტი" . დღევანდელ სახარებაში იესო გვიხმობს, რომ მას დავემსგავსოთ, მომთმენნი ვიყოთ, როგორც მიწის მუშაკი ღვარძლთან, სიმდაბლით ვიაროთ ჩვენს საკრებულოებში, ისე რომ არ გავხდეთ მსაჯულნი და არ განვსაჯოთ ძმები.

31 ივლისი

რიგითი XVII კვირა [I]

წმ. ეგნატე ლოიოლა, ხუც., +1556, (მ), თ

2019 ოთხშაბათი

გამ 34,29-35; ფს 98; მთ 13,44-46

სიხარულით მიდის და ყიდის ყოველივეს, რაც აბადია და ყიდულობს იმ მინდორს მთ 13,44

ვინაა მინდორში დაფარული ჭეშმარიტი საუნჯე? იესოა! როდესაც იგი ვიპოვე, ყოველივე დანარჩენს ფასი მაშინღა აქვს, თუკი მისდამი სიყვარულს ემსახურება, თუკი მას ემსახურება მოყვასში, მაგრამ იგია, ვინც ჩემი ცხოვრების ცენტრად რჩება. გმადლობ, იესო, რომ მუდამ ჩვენთან ხარ!